№ 45

სამშაბათი, 1 მარტი 1894

1877—1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


№ 45

სამშაბათი, 1 მარტი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.



## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„**ივერიის**“ **რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ტელეფონი № 92.

### ნავთი საუკეთესო თვისების

ამ ნავთს მჟვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭოს დარბაზის განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

### ამხანაგობისა „სვეტ“

შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **ი. გ. გორნიჩის** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა ½ მარკი, როცა ამთია არც სუნი აქვს და არც მჟვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ფუთი ღირს** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ».

საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს. (10—3)


**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

დანიშნული ოცს ამა თებერვლისას **ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება არ შესდგა**, რადგანაც კანონის მოთხოვნილებისამებრ საჭირო რიცხვი თავად-აზნაურთა არ მოვიდნენ.

ამის გამო ტფილისის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა კოლლეჟსკის სეკრეტარმა მიხეილ ისარლოვმა დანიშნა მაზრის კრება ექვს მომავალს მარტისას და სთხოვს იმ თავად-აზნაურთა რომელთაცა აქვსთ უფლება არჩევანებში დასწრებისა, მობრძანდნენ ზემოაღნიშნულს დღესა, დილის თორმეტს საათზედ ტფილისის კეთილშობილთ დეპუტატთ საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმის კუკუჯანოვის სახლში, სადაც შესდგება მაზრის კრება და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგინონ მას წინამძღომელს დეპუტატთ საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთის უფლებისა, რომლის წარმოუდგენლობის გამო არ იქმნებიან ჩაწერილნი სიაში.

(3—3)

## ახალი ამბავი

*** კვირას, 27 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა უკანასკნელი წარმოდგენა გაჰმართა. წარმოადგინეს „ორი ობოლი“. წარმოდგენას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ამ წლიდგან აუკრძალა შავ ორშაბათობით ყეენობის გამართვა.

*** ჩვენი ოპერის დასი ოთხშაბათს ბაქოში მიდის, სადაც დიდ მარხვის განმავლობაში იტალიანურს ენაზედ წარმოდგენებს გამართავს.

*** ოთხშაბათსავე ბაქოში მიდის ტფილისიდგან ნიკიტინების ცირკიც.

*** ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ტფილისის ტრამვაის კონდუქტორები აჯაყდნენ, რადგანაც ვაგონების მოძრაობის ახალი უფროსი ქურდობას ამჩნევდა თუ არა, მაშინვე სამსახურიდგან ითხოვდა. აჯაყებისათანავე პოლიციამ შეიპყრა რამდენიმე კონდუქტორი და ამის შესახებ აცნობეს კავკასიის მთავარმართებელს, რომლის განკარგულებით ერთი კონდუქტორი ერთის წლის ვადით და ორი კონდუქტორი ნახევარ წლის ვადით გაჰგზავნეს ტფილისიდგან ჩრდილოეთ კავკასიაში.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი ვერაზედ მიწების პატრონს მაკაროვსა სთხოვს მტკვრის ნაპირას, იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის ახლოს ალაგს, ღამის თავშესაფარის ასაშენებლად, იმ პირობით, რომ თავშესაფარის გარშემო ალაგზე დავარგვევინებ ხეებს და მამულს მტვრის მხრიდგან შევამაგრებო.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ გადასცა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ოც-და-ათი საწოლი თავისის ლოგინით და თეთრეულით, რადგანაც საავადმყოფოში საწოლები არ ჰყოფნიდა. ამასთანავე ქალაქის გამგეობამ უპასუხა ბ-ნ გუბერნატორს, რომ ქალაქს ეხლა უფულობისა გამო არ შეუძლიან გადამდებ ავადმყოფებისათვის ახალის საავადმყოფოს გამართვაო.

*** რკინის გზის მმართველობისთვის ახალ-შენობის აგებას ელისაბედის ქუჩაზედ შეუდგებიან მარტისთვის შუა რიცხვებში. შენობა იჯარით მისცეს ინჟენერ კოგნოვეცკის და ზედამხედველობა-კი მმართველობამ მიანდო ინჟენერ პუშეჩნიკოვს.

*** ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად დიდ-ძალი ხე-ტყე მიაქვთ იმერეთიდგან საფრანგეთში გემების ასაგებად.

*** დღეს, 1 მარტს, საღამოს 7½ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს სამეცნიერო მოხსენებას ნ. ა. სახაროვისას, ა. ნ. ბაბაევისას და ვართანოვისას.

*** ქვაბლიანი (ახალციხის მაზ.): აქეთაც დიდი ძალი თოვლი მოვიდა. მოხუცებულები ამბობენ, რომ 30 წელიწადი მეტია, რაც ამოდენა თოვლი არ მოსულაო. ამ ჟამად აქეთ ორ ადლამდის თოვლი სძევს. ხალხი ძლიერ შესწუხდა, რადგანაც დიდის თოვლის გამო მისვლა-მოსვლა შესწყდა.

უშეშობის გამო ზოგი ბოსლების ზღვეებს ჰყრიდა და სწვამდა, ზოგი ღობეს ამტვრევდა. არა ნაკლებ შეაწუხა ხალხი სხვა-და-სხვა მოარულმა სენმა და ეგრედ წოდებულმა ინფლუენციამ, რომელმაც სოფ. კახარეთში (30 კომლამდის მცხოვრებია) ერთ კვირაში ხუთი-ექვსი სული იმსხვერპლა. მაზრის ექიმი ავიდა და მცხოვრებთ შემწეობა აღმოუჩინა.

*** სოფ. ჭალა (შორაპნის მაზ.): წელს ჩვენში ძალიან ცივი ზამთარი არის. თებერვლის დამდეგ რიცხვებში დიდი თოვლი დასდო, რის გამოც უიმისოდაც გავრცელებული სურდო-ხველა უფრო გაძლიერდა. მაგრამ ამას როგორც იქნება გადურჩება კაცი, რომ აქაური მკითხავები არ აჭირვებდნენ საქმეს.

ყველა სოფელში ორი და სამი მარჩიელი არ გამოილევა. მიდის ხალხი მასთან და მკითხავიც ხან ერთ სისულელეს ურჩევს ავადმყოფის პატრონს, ხან მეორეს. უმეტესად, რასაკვირველია, ხატთან და ჯვართან ჰგზავნიან, რის გამოც წამალზე ხელს იღებენ, გარბიან რომელსამე ეკკლესიაში და შინ იმ იმედით ბრუნდებიან, რომ თავიანთი სნეული მორჩენილი დაუხვდებათ, მაგრამ მორჩენის ნაცვლად საიქიოს-კი მიდის.

აქაურ ქადაგებს, ხომ ანგარიში აღარა აქვს. ამ სამის წლის წინად საჩხერის ბოქაულმა კიდეც დააპატიმრა ერთი დედაკაცი, რომელიც ქადაგად დაეცა და ამბობდა, რომ მე ღვთისაგან ვარ წარმოგზავნილი თქვენს საქადაგებლადაო. ვითომ გადიქცეოდა ეს ქალი მოკვდებოდა, იყო რამდენსამე წუთს ასე და მერე, როცა მობრუნდებოდა, დაიწყებდა ქადაგებას. სოფლელები მიდიოდნენ მასთან და თან მიჰქონდათ შესაწირავი: ფული, ტანისამოსი, სხვა-და-სხვა სანოვაგე და სხ. ამ ვითომ ღვთი-

## ფელეტონი

### სახლობა

ბ. ბონტენისა

(თარგმანი)

შარშან სწორედ ჩემს სადგომ ზემოდამ დასახლდა ერთი სახლობა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია. უნდა გავტყდე, რომ ამ ჩემმა ახალმა მეზობლებმა დიდად შემაწუხეს. თხელი ჭერისა და კედლების გამო, ყოველი მათი ფეხის გადადგმა, ან რისამე დარახუნება ისე ისმოდა ჩემს სახლში, თითქო სულ დადიან ან განგებ იატაკს სცემენ რასმეო.

„კარგი ხალხია“ იტყოდა ხოლმე მეკარე დედაკაცი.

მამა სამინისტროში ნამსახური ძველი მოხელე, ეხლა სამსახურიდამ გამოსულიყო და, რადგან პენსია არა ჰყოფნიდა საცხოვრებლად, რომელიღაც საადმინისტრაციო დაწესებულებაში მსახურებდა და, გარდა ამისა, კერძო სამუშაოცა ჰქონდა. სახლში გვიან დაბრუნდებოდა ხოლმე, რის გამოც იშვიათად ვხედავდი, მაგრამ მაინც-კი შენიშნული მქონდა მისი ოთხად მოხრილი ტანი, დაქანცული და მორჩილი სახე ბებერის ჯაგლაგისა, რომელიც ისევ დაუღალავად შრომობდა, თუმცა, დიდი ხანია, დრო ჰქონდა მოსვენებისა.

დედას სრულებით ვერ ვხედავდი, მაგრამ ისე მქონდა შესწავლილი მისი ვინაობა, ვითომც კედლის ჯურჯუტანიდგან მეყურებინოს მისთვის. დამბლად ჩავარდნილი და ხასიათით გაბავშვებული უჯდათ ეს საცოდავი გოროგლებიან სავარძელში და მთელი დღე საშინელის რახა-რუხით ხან ერთ ოთახში შეაგორებდნენ და ხან მეორეში; აი სწორედ ეს იყო ჩემი უსიამოვნების მიზეზი. როგორც მოსამსახურე დედაკაცმა მითხრა, საღამოთი ათ საათზედ ტახტზედ დააწვენდნენ ხოლმე, რადგან ავადმყოფობის გამო, აკრძალული ჰქონდა დიდხანს საწოლში ყოფნა. მთელ ღამეს ასე ატარებდნენ: ხან ტახტზედ უწვათ, ხან პატარა ოთახში, იქიდგან საწოლზედ, საწოლიდგან ისევ ტახტზედ, ასე ყოველ დღე ერთი და იგივე, ერთსა და იმავე დროს, გარდა იმ დღეებისა, როცა სნეულება მოერეოდა, ასე რომ ამათ რახა-რუხს და ბრაგა ბრუგს შევეჩვიე და აღარ მაღვიძებდა, მხოლოდ მუშაობის დროს მიშლიდა. მებელი გოროგლებიანი ჰქონდათ, რომ უფრო ადვილად გაეყვან-გამოეყვანათ ერთი ოთახიდგან მეორეში. საწყალი მოხუცი ძალიან მძიმე იყო და ისე ადვილად არ შეიძლებოდა მისი აწევ დაწევა.

დილით რა-კი პირს დაჰბანდნენ და ტანთ ჩააცმევდნენ, ხელს აღარ ახლებდნენ ხოლმე; მხოლოდ საუზმის და სადილის დროს შეაგორებდნენ საწოლ ოთახიდგან სადილის საჭმელ ოთახში. შემდეგ, ალბად, გაზეთის კითხვაში ჩაეძინებოდა და მეც აღარ მესმოდა მისი ხმა და ბავშვივით ჭირვეულობა, ბუზღუნი და თხოვნა ხან რისა და ხან რისა.

იქნება ქუჩის ღრიანცელი და ეტლების სიარული მიშლიდა იმ საბრალოს ხმის გაგონებას. ზოგიერთ ამისთანა ავადმყოფს ხომ არაფერი მოჰგვრის ძილს, მით უფრო, რომ მოხუცებულთ საზოგადოთ ცოტა სძინამთ.

მომვლელი, რომელსაც მთელ ღამეს სტანჯავდა ათას ნაირის მოთხოვნილებით—იყო ამისი 25—28 წლის ქალი, მაღლის ტანისა, ამ ქალის შესწავლა ადვილად შემეძლო, რადგან დრო და დრო გამოჩნდებოდა ხოლმე ფანჯარასთან, გარედ-კი იშვიათად გამოდიოდა, ისიც მაშინ, როცა გამდელს ჰქონდა დრო ავადმყოფის მოვლისა.

ასეთები იყვნენ ჩემი მეზობლები, რომელთაც შევეჩვიე, მაგრამ იმდენად გულგრილად ვუყურებდი ჩემს გვერდით მყოფ ხალხს, რომ არც-კი ვიცოდი სწორედ, ეს ქალი ქერა იყო თუ შავგვრემანი.

რომანისტი, ოც-და-ათ წლამდე, თხზულების გარეშეც-კი, რომელსაც სწერს, ანუ ფიქრობს დასწეროს, იმდენად აქცევს ყურადღებას ქალს, რამდენადაც მოსწონს. ეს ქალი-კი არც ლამაზი იყო და არც ულამაზო; გარდა ამისა აღარც ის ხანი ჰქონდა, როცა ქალი თავისის სიყმაწვილით იმორჩილებს ცხოვრებაში გამოცდილ კაცის გულს, ეს ქალი იყო მაღალი და წვრილი, მოხდენილი, ჩაცმა იცოდა; დიდის გემოვნებით ჩაიცვამდა, რაც უნდა ძველი ტანისამოსი ჰქონოდა. მოაცებდა მხოლოდ მისი შეწუხებული სახე,—ყმაწვილური სრუ-

საგან წარმოგზავნილმა ქალმა თავის საყვარელს, რომელსაც ჯარის-კაცად წასვლა შეხვდა, კარგა ფული და სხვა რამეები მოუგროვა. ბოლოს ვიღაც მადლიანმა შეატყობინა ეს საჩხერის ბოქაულს, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიჭირა მქადაგებელიც და იმისი სატრფოც, მაგრამ კიდევ არ დაშინდა ხალხი და მარჩიელობაზე მაინც ხელს არ იღებენ.

*** სოფ. იანეთი (ქუთაისის მაზ.): ჩვენში ხალხის ავადმყოფობის გარდა, საქონლის ჭირმა იჩინა თავი. თუ დროზედ არა ეშველა-რა, მთელს სოფელს მოედება ეს ჭირი და უიმისოდაც გათახსირებულ გლეხის ოჯახს მუსრს გაავლებს.

*** სოფ. ფისილმანი, (კავკავის მაზრა), ბარის ოსეთში ბევრგან არის გავრცელებული საქონლის ჭირი. მიზეზი ასეთ ჭირის გავრცელებისა თვით მცხოვრებთა მოურიდებლობა და დაუდევრობაა. ამას წინად ჩვენში ერთმა ქისტმა აუარებელი ტყავები იყიდა ჭირით დახოცილ საქონლისა, დატვირთა ურემი და წაიღო. ვინ იცის ახლა, სად არ მივა და სად არ შეიტანს ის კაცი იმ ტყავებით ჭირს!

*** 24 თებერვალს ოლგას ქუჩაზე ხუთის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 25 თებერვალს ოჰანეს ხაჩატუროვი ცხენს წყალს ალევინებდა. ცხენი მტკვარში შეცურდა, პოვოზკა გადაბრუნდა და ხაჩატუროვიც და თელავის მცხოვრებლის შვილი ბაღდან კირაკოზოვი წყალმა მოიტაცა, მაგრამ მალე მიეშველა მცურავი დიმიტრიშვილი და დარჩობას გადაარჩინა.

*** ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე მარიამ ლენკევიჩის სადგურთან მიგდებული ბავშვი იპოვნეს. ბავშვს კანვერტი ჰქონდა, რომელშიაც 30 მანეთი და წერილი იყო. წერილში ეწერა: 1893 წლის 8 სექტემბერს დაიბადა. აზნაურია და აგრეთვე მოუნათლავიცა. გთხოვთ, ღვთის გულისათვის ამ ბავშვს მოუაროთ და აღზარდოთ. ეს სამი თუმანიც იმის აღზრდას მოახმარეთ. ბავშვი და 30 მან. საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დამაკვირდი

ერთგულ მეგობართათვის შენი ცარიელი პურიც საამურია და ორ-გულნი ხომ ცარიელ პურადაც არა ჰღირან.

**

სინდისი—ერთად-ერთი სარკეა, რომელიც არც გატყუებს და არც გეფერება.

დედოფალი ქრისტინე

**

სინდისი ხმაა სულისა, სურვილი ხმა ხორცისა.

რუსსო

## ნაწყვეტები

გიცნობ, გიცნობ, გველაძუავ,
ჭია-მტვერო, ქვემძრომელავ,
გაქნილო და გაქლესილო,
ლაქუცანა კუდა-მელავ!
პირში მაქებ, პირს უკან მთხრი:
მკიცხავ მჭორავ, ცილით მქელავ;
შორს! შორს ჩემგან, ქვეზუდანო,
საზიზღარო ჭიაყელავ!..

## კორესპონდენცია

**აბაშა** (რკინის სადგური გზის სენაკ. მაზრაში). ათი-თხუთმეტის წლის წინად ერთი უბრალო სოფელი იყო. გაიყვანეს თუ არა ფოთი-ტფილისის რკინის გზა, აშენდა აქ რკინის გზის სადგური, სოფელმა ფერი იცვალა: სადგურის მიდამო გაცოცხლდა, გაჩნდა რამდენიმე შენობა და თანდათან მატულობს მათი რიცხვი; გამრავლდნენ ვაჭრები და ხელოსნები; და დღეს ეს ოდესმე ოდნავ დასახლებული სოფელი გვარიან მოზდილ დაბას დაემზგავსა. ამ დაბის ზრდას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მის მიდამოს სოფლები ძლიერ მჭიდროდ არის დასახლებული.

აქეთკენ დიდძალი სიმიდი მოდის, რომელიც იყიდება ვაჭრების მიერ აბაშაში და აქედამ ფოთით სამზღვარ გარედ იგზავნება. სამზღვარ გარეთელ სიმიდის მყიდველთაც აქვთ აქ თავიანთი სიმიდის საყიდველი კანტორა და საწყობები. როგორც ყოველ დაბა ქალაქს, ჩვენ ჯერ დაუმტკიცებელ დაბასაცა აქვს თავისი საჭიროებანი: მისთვის საჭიროა, ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი, მეურნეობა, რომ თვისი საზოგადო საჭიროებანი დაიკმაყოფილოს და დაბის მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

შემოსავლის წყაროთა აღმოჩენა ძნელი არ არის, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ამ სავაჭრო ადგილს მიენიჭოს დაბის დებულება, ურომლისოდაც ადგილობრივ მცხოვრებთ ნება არა აქვთ საზოგადოების განაჩენით ხარჯი დაადვან რასმე. ერთ უმთავრეს შემოსავლის წყაროდ დაბის საჭიროებათათვის მე მიმაჩნია, შემოსატან-გასატან საქონლის ზომაზე ხარჯის აღება. დარწმუნებით ვიცით, რომ წელიწადში 1.000,000 ფუთზე მეტი საქონელი ამ სადგურით წავა და მოვა (გასულ წელს გაიტანეს აქედამ 800,000 ფუთი სიმინდი). ფუთზე, რომ $^{1}/_{6}$ კაპეიკი გადიდვას დაბის სასარგებლოდ, შეადგენს ერთად სხვა შემოსავალთან არა უმცირეს 2,000 მანეთისა და ეს ფული ამ დაბის ყოველ გვარ საჭიროებას უდეფიციტოდ დააკმაყოფილებს. აქაურმა ვაჭრებმა უკვე მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და სცდილობენ, ეს ჩვენი სავაჭრო ადგილი დაბად იქმნას დამტკიცებული.

აბაშაში მცხოვრებთათვის უმთავრესი საჭირო დაწესებულებანიცა გვაქვს: აქ არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, დედათა სკოლა, აბაშის საპოლიციო განყოფილების სამმართველო, აფთიაქი და ამ მოკლე დროში ფოსტაც გაიმართება. ეხლა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსებასაც აპირებენ.

«ივერიის» მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ გასულ წლის 1 ნოემბრიდამ აქ დაარსდა დედათა სკოლა, რომლის თავდაპირველ გასაწყობად აბაშის მოვაჭრეთ და მცხოვრებთ შესწირეს ფული; რადგან სამუდამო წყარო შემოსავლისა შესანახად ამ სკოლის ჯერ არ არის სრულად აღმოჩენილი, იმედი გვაქვს აქაურები მიჰბაძავენ თავიანთ მოძმე ახალ-სენაკელებს და ეცდებიან უზრუნველ ჰყონ მომავალი ამ სკოლისა, მით უმეტეს, მოიმედე ვართ, რომ ამ დაწესებულებას სარგებლობა და მნიშვნელობა ყველას ჯეროვანად შეგნებული აქვს.

კ. თეკლათელი

## უცნაური დასკვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ახალ მიმოხილვის“ მე-3486 №-ში დაბეჭდილია შენიშვნა უცნობის ავტორისა, რომელიც გალაშქრებულა, ანუ უკედ ვსთქვათ, მოუნდომნია გალაშქრება სოფ. აკეთში დაარსებულის წიგნთ-საცავის წინააღმდეგ. აკეთიო, ამბობს შენიშვნის ავტორი, მიყრუებული ადგილია და ამიტომ იქ დაარსებულ წიგნთ-საცავს არ მოაქვს იმდენი სარგებლობა, რამდენსაც სამართლიანად უნდა მოველოდეთ ასეთის დაწესებულებისაგანო. მისვლა-მოსვლის უხერხულობის გამო აკეთს გარეშე მცხოვრებთათვის სრულიად უსარგებლოა ეს წიგნთ-საცავიო და სხვ... უფრო მოხერხებული ადგილი წიგნთ-საცავისათვის, განაგრძობს ავტორი, ჩვენის (თუ ჩემისო, უნდა ეთქვა) აზრით, ჩოხატაურია, სადაც მომრიგებელი სასამართლოა, სასოფლო საავადმყოფოა (пріемный покой), აფთექაა, საფოსტო სადგურია, სასოფლო სკოლა და კანცელარია არისო. ამიტომ სასურველი და სასარგებლოა აკეთიდამ ჩოხატაურში წიგნთ-საცავის გადატანა და არც იმდენად გასაჭირია, რადგანაც გადატანის ხარჯს თითონ ჩოხატაურელები იკისრებენო... ბარაქალა ჩოხატაურელთა გულკეთილობას და სულ-გრძელობას! ყოვლის მხრით მზა-მზარეულ წიგნთ-საცავს თავის ხარჯით წაიღებენ! კიდევ კარგი რომ ამ ხარჯს აკეთლებს არ მოახვევენ თავზე! მაგრამ თუ მარტო გადატანის ხარჯზე მიდგა საქმე და წიგნთ-საცავის მოსაპოებლად სხვა არაფერია საჭირო, ქვეყანაზე აკეთის წიგნთ-საცავზე უფრო მდიდარი და კარგი წიგნთ-საცავებია და რაღა მაინცა და მაინც აკეთის წიგნთ-საცავზე დარჩათ თვალი იმ დალოცვილებს! «ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვაო» რომ იტყვიან, სწორედ ეგ არის. როცა აკეთში წიგნთ-საცავს აარსებდნენ, ამ კეთილის საქმის მეთაურთ კარგად იცოდნენ, სად იყო აკეთი და როგორი მისვლა მოსვლა შეიძლებოდა ამ სოფელში. ისიც იცოდნენ, რომ ჩოხატაურში მომრიგებელი სასამართლო, საფოსტო სადგური და სხვა დაწესებულება იყო, მაგრამ მარტო ეს არ ჩაითვლებოდა იმის დაურღვეველ საბუთად, რომ წიგნთ-საცავიც ჩოხატაურში გამართულიყო. ჩოხატაურისა, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მკვიდრთ უმისოდაც ჰქონდათ გაღვიძებული წიგნის კითხვის სურვილი და ამ სურვილის დამაკმაყოფილებელი საშუალებაც მოეპოვებოდათ და დღესაც მოეპოვებათ. ამ ნაირად წიგნთ-საცავის გამართვა საჭირო იყო ისეთ ალაგას, სადაც ეს სურვილიც ნაკლები იყო, ხოლო დაკმაყოფილება მისი დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენდა. ასეთ ადგილად არჩეულ იქმნა აკეთი, რომელიც ოზურგეთიდამ დაშორებულია თექვსმეტ ვერსის მანძილზე, ჩოხატაურიდამ ცამეტისაზე, ხოლო ლანჩხუთიდამ თორმეტისაზე, საფოსტო სადგურები-კი გურიაში (ნატანები და საჯავახო, როგორც განაპირა ადგილები მარტო გურიისათვის არ იანგარიშება), როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ ამ ადგილებშია. ამას გარდა, აკეთს გარშემო არტყია ისეთი სოფლები, რომლებიც აგრეთვე დაშორებულნი არიან საფოსტო სადგურებს და რომელთა მკვიდრთ არც წიგნის მოპოების საშუალება აქვთ და არც ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა. აქედამ ცხადად სჩანს, რომ აკეთი წიგნთ-საცავისათვის სათანადოდ შერჩეული ალაგია და ჩოხატაური ამ უპირატესობას ვერ წაართმევს. უფასო წიგნთ-საცავის სარგებლობა, ჩემის აზრით, ღარიბ და ხელ-მოკლე მკითხველთა რიცხვით უნდა გაიზომოს და ამ მხრით, არა მგონია, აკეთს რომელმამე სხვა სოფელმა აჯობოს. კარგია, კარგი დავეთანხმოთ, რომ მომრიგებელ სასამართლოს და სხვა სასარგებლო დაწესებულებას ჩოხატაურში წიგნთ-საცავიც უმშვენებდეს გვერდს, მაგრამ წართმეულის წიგნთ-საცავისა რა მოგახსენოთ! ცოდვა გამჟღავნებული სჯობს და დაჩვეული კი არის ჩოხატაური წართმევას მას შემდეგ რაც ნაგომარს пріемный покой ჩამოართვა. წიგნთ-საცავის შესახებ ეგ ხერხი არ ივარგებს და ამიტომ წრფელის გულით ვურჩევთ ჩოხატაურელებს, რომ თითო-ოროლა მანეთის გარდახდას ნუ დაიზარებენ და ისევ საკუთრად გაიმართონ თავისთვის წიგნთ-საცავი. ასკანისა და ლანჩხუთის მაგალითისა მაინც არა სცხვენიათ!

დასასრულ «Нов. Обоз.»-ეს რედაქციასაც ვსთხოვ გადაბეჭდოს ეს წერილი თავის პატივცემულ გაზეთში.

ლ. წულაძე

## უცხოეთი

**ინგლისი.** უცხოეთის გაზეთები ეხლა მხოლოდ გლადსტონის სამსახურიდგან გადადგომისა და იმისის

---

ლიად აღარა ეტყობოდა-რა. იმ დროს მოთხრობასა ვწერდი და მისმა მაყურებელმა ჩემს მოთხრობაში რამდენგანმე ჩავწერე, რომ სწორედ ცეცხლია ნაკლებულობა პარიზელ ქალისა-მეთქი; სწორედ ამ ნაკლებულობის გამო არიან საცოდავები იძულებულნი სამარცხვინო გაუთხოვრობას და ამავე ნაკლებულობისა და სიღარიბის გამო დაემზგავსებიან ხოლმე უბედურნი ადრე და მალე დაქვრივებულებს, გარდიქცევიან ხოლმე „დედაკაცებად.“

—

ერთხელ ჩემს მეზობლებს ალიაქოთი შეუდგად. ავადმყოფის სავარძელს უდრო-უდროოდ ხან აქეთ მიაგორებდნენ და ხან იქით. რიგზედაც ხომ არა, ერთის ფაცა-ფუცით, ერთის სიჩქარით და გაჰქონდა ზრიალი მთელ სახლს, ადამიანს ეგონებოდა, ცხენს აუწყვეტია და დარბისო, მეტადრე პურის საჭმელ ოთახში იყო ერთ ვაი-ვაგლახი; ჩემის ლამპრის სახურავი სულ ხტოდა.

მოსამსახურე დედაკაცმა ასე ამიხსნა ამ ხმაურობის მიზეზი:

— ბატონო, ჩვენს ქალბატონს პატარა დისწული ჩამოჰგვარეს სოფლიდამ. უნდა იცოდეთ, რა სიხარულში არიან.

იმავე საღამოზე მეც დავინახე ეს პატარა ქალი და დანახვის უმალვე შემიყვარდა, მშვენიერი ბავშვი იყო. ქერა, ხუჭუჭ თმიანი, ექვსის წლისა, სწორედ მოლაპარაკე ტიკინსა ჰგვანდა. რა სასაცილოდ ტიტინებდა! საშინლად შეიყვარეს ეს ბავშვი ყველა სახლში მყოფმა მოსამსახურე დედაკაცებმა. ყველა ალტაცებაში მოჰყავდა მის მშვენიერ დიდრონ თვალებს და საკვირველს, უდროვო გონიერებას. მისი ტიტინი ყველას უყვარდა, ყველა ამ ბავშვს ეალერსებოდა. ხან ვინ გაარბენინებდა და ხან ვინ ხილის მაღაზიაში, რომ ხილი ეყიდნათ მისთვის, მეტადრე ახლა, რაკი მოხუცი ავად იყო, ქალი იმას ველარა შორდებოდა და ბავშვი სულ მოსამსახურე დედაკაცსა ჰყავნდა; ამასაც ხან ვინ მოსტაცებდა და ხან ვინ.

მთელი დღე ჩიტივით ჭიკჭიკებდა და, რაკი დაატყო, რომ მის ლაპარაკზედ გოგოები სიცილით იხოცებოდნენ, ხანდახან ისეთ სიტყვებსაც წამოურევდა, რომლის თქმა აკრძალული ჰქონდა.

მეც მესმოდა ხოლმე მისი ტიკტიკი, როცა-კი კიბეზედ ჩასვლის დროს შევხვდებოდი. ავიყვანდი ხოლმე ხელში და დავუკოცნიდი მშვენიერ სახეს და ხუჭუჭ თმას. საშინლად მებრალებოდი, რომ უპატრონოდ ეგდო, თუმცა მისი ლამაზი თვალები მხიარულად გამოიყურებოდა და ტუჩები უღიმოდა.

— რა ძალიან უყვარს პატარა ლიზას თავისი დედიდა! ვუთხარი მე, ერთხელ დედაკაცს.

ქუჩაში გაველი და ვნახე, ჩემ წინ მიდიოდა ჩემი მეზობლის ქალი და პატარა ლიზა მიჰყვანდა ხელ დაჭერილი, პატარა ლიზა უალერსებდა თავის დედიდას, ცელქობდა და თან დაჰმღეროდა:

დედიდაო, დედიდაო,
შენი კოცნა მომინდაო.

— ეგ არის, დედიდა! დასცინოდნენ აქეთ-იქიდგან. მაგისთანა დედიდები ათასობით გვინახავს. ასეთი დაცინვა და კილვა რამდენჯერმე გავიგონე მე თითონ. ამ სახლის ყველა მდგმურებმა იცოდნენ, რომ ლიზა ამ დედიდისა შვილი იყო.

—

ამას შემდეგ დიდს ყურადღებას ვაქცევდი ამ ქალს, საცა-კი შევხვდებოდი, ან დავინახავდი. ლამაზი არ იყო, მაგრამ ეხლა შევნიშნე, რომ თვალები სწორედ თავის ქალისა ჰქონდა, ლურჯი, დიდრონი და მეტყველი, გონიერი, მაგრამ ეს მშვენიერი მეტყველება ისე ცხოვლად არა ჰკრთოდა, როგორც ლიზას თვალებში; ადრე ჩაჰქრობოდა სიღარიბისა და იქნება უფრო სირცხვილის გამო. ფერმკრთალი იყო, რაკი წმინდა ჰაერში ყოფნა აკლდა, და ქუთუთოები დაჯირჯვებული ჰქონდა უძილობის გამო, სისხლ ნაკლები იყო, რაკი თითქმის სულ სახლში იჯდა ჭირვეულ ავადმყოფის გვერდით, რომელიც, გარდა იმისა, რომ მოვლით და ბუზღუნით უჭირებდა საქმეს, უეჭველია კიდეც აყვედრიდა შეცოდებას და უბრალო მოახლესავით სჩაგრავდა.

ნეტა როდის-ღა ეძინა ამ ქალს? ღლისით თუ როგორმე პიანინოს დაუჯდებოდა, დედა არც-კი დაათავებინდბა პიესას და ისევ მალე წამოაყენებდა. ქუჩაში ისე ნელის ნაბიჯით დადიოდა, თითქო გრძნობა დაჰკარგვიაო, მხოლოდ ხეივნის ბოლოს რომ ჩავიდოდა, იქ ვამოფხიზლდებოდა ხოლმე ოდნავ. კეკლუცი იყო, როგორც ყოველი პარიზელი ქალი, სიარულით, ჩაცმით, გარედაც და შინაც: სწორედ იმ უბედურ უმზითო ქალებსა ჰგვანდა, რომელთაც უპატ-

მოადგილის შესახებ-და ჰლაპარაკობენ. როგორც ლიბერალთა, ისე კონსერვატორთა გაზეთები თანაგრძნობით მიეგებნენ როზბერის დანიშვნას გლადსტონის მოადგილედ. გაზ. „Times“-ი ამბობს, რომ როზბერი განაგრძობს პიტტისა და პალმერსტონის მიერ დაწყებულს საქმესაო. ეცდება რამე მოუხერხოს სოციალურ საქმეთა გადაწყვეტას. ლიბერალთა დასი მაინც ჩქარა დაიქვეითებს, რადგან გლადსტონმა მისი საქმეები არეული დასტოვა, თვით დასი ხელ-ფეხ შეკრულია აუსრულებელის ვალდებულებანით. „Daily Chronicle“ ამბობს, იმედია, როზბერი კვლავ წამოაყენებს წინ იმ საქმეს, რომ რვა საათი იყოს დაწესებული სამუშაო დღეთაო. აღნიშნავს აგრეთვე, რომ დედოფალმა მადლობა არ გადაუხადა გლადსტონს, მხოლოდ მოწყალედ მიიღო მისგან დათხოვნის ქაღალდიო. «Freemans Journal»-ი იმედეულობს, რომ გლადსტონის ხმას კიდევ გავიგონებთ ჰომრულის დასაცავადაო. პარნელისტთა გაზეთი „Independant“-ი დაბეჯითებით გაიძახის, რომ ჰომრულის განხორციელების იმედი სამუდამოდ დაკარგულია, რადგან გლადსტონის სამსახურიდგან გადადგომა ამტკიცებს, რომ იგი გაექცა ამ საქმესაო. ირლანდიელთა დასს განზრახვა აქვს გლადსტონს ადრესი მიართვას.

გლადსტონის დასის უმთავრესი გაზეთი „Daily News“-ი ამბობს: თუ გლადსტონის მოადგილეობაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ მინისტრ-პრეზიდენტათ როზბერი დაინიშნოს და ქვედა პალატის ლიდერად გარკური. რასაკვირველია, ძნელი გასაწევია სრული მაგიერობა გლადსტონისა. იუპიტერსავით იმას არც სწორი ჰყავს და არც მზგავსი. იმის დიდ-ხნოვანსა და ბრწყინვალე მოღვაწეობას დარი და ბადალი არ გამოსჩენია არც ჩვენს ისტორიაში და იქნება არც სხვა ერთა ისტორიაში იყოს. ამავე დროს არც ერთს კაბინეტში არასოდეს არა ყოფილა იმდენი ნიჭიერი გულის უმაღლეს სამსახურისათვის გამოსადეგი და საზოგადოების ნდობა-დამსახურებული, რამდენიც გლადსტონის კაბინეტში იყო; ეს კაბინეტი საუკეთესო კაბინეტია 1841 წლის პილის კაბინეტს შემდეგ. ამ ექვსისა თუ შვიდის წლის წინად გლადსტონმა თავისს სიტყვაში ლორდ როზბერის შესახებ სთქვა, რომ ეს ისეთი კაცია, რომელსაც „მერმისი ექმნებაო“. მას შემდეგ როზბერის მდგომარეობა უფრო გაკეთდა და გაძლიერდა. ვითარცა გარეშე საქმეთა მინისტრი, იგი უფრო მტკიცე ხასიათისაა, ვიდრე ლორდი სალისბერი, დიდად გაჰვირებულსა და ძნელს გარემოებაშიაც-კი ჩვენს გარეგანს საქმეებს იგი სწორედ პალმერსტონისებურის მხნეობით განაგებდა, თუმცა იმასავით არ უყვარდა, რომ ქვეყანა აელაპარაკებინა. ლონდონის ქალაქის საბჭოს პრეზიდენტად ყოფნის დროს არამც თუ კეთილ-გონიერება და უნარი გამოიჩინა საქმის წინ-ძღოლისა, არამედ სიყვარულიც-კი დაიმსახურა რადიკალებისა, რომელნიც მეტად უნდობლად ეკიდებიან ყველას. ვითარცა ორატორი, იგი ყოველთვის პირველთა შორის იდგა და დღესაც შესწევს ამ მხრივ პირველობისა. შოტლანდიაში როზბერს დიდად ენდობიან თვით მუშანიც-კი. ლორდი როზბერი სრულიად ახალის ტიპის ლიბერალია. მიმართულებით იგი მოწინავე საპოლიტიკო დასის აზრისა და მიმართულებისაა.

---

## გასართობი

—

აბბატი ბოვე—მექუდეს შვილი იყო და ყმაწვილობისას თითონაც ამ ხელობას სწავლობდა, მაგრამ, როცა სასულიერო წოდებაში შევიდა, სცდილობდა ან ეპისკოპოსობა ეშოვნა, ან ბასტილიაში ამოეყო თავი. ერთხელ ლუდოვიკ მე-XIV მეფობის დროს ვერსალში იყო იგი მიწვეული საქადაგებლად. აქ მქადაგებელმა ხმა მაღლივ გაჰკიცხა თავის ქადაგებაში ზოგიერთ მოხუცთა გარყვნილი ცხოვრება. მეფემ, ვითომ და თავის თავზედ არ მიიღო, რიშელიეს მიუბრუნდა და უთხრა:

— მგონია, რიშელიე, ამ მქადაგებელმა ბლომა კენჭები გადმოყარა თქვენის ბოსტნისაკენაო.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მიუგო რიშელიემ, მერე ისე მაგრად ისროდა, რომ ჩემის ბოსტნიდგან პირდაპირ ვერსალის ბაღში ცვიოდა ის კენჭები.

ბოვემ ამის შემდეგ ეპისკოპოსობა მიიღო და კენჭებსაც სხვა მხრისკენ დაუწყო სროლა.

**

ერთხელ არლეკინმა სთქვა: „ყველანი ამბობენ, ერთი ჭიქა ღვინო კაცს ძალ-ღონეს უმატებსო; სისულელე ყოფილა, რადგან, აგერ ორმოც ჭიქაზედ მეტი დავლიე და მაინც ფეხზედ ველარა ვდგევარო“.

**

ამერიკის ერთს გაზეთში ამას წინად შემდეგი უცნაური განცხადება იყო დაბეჭდილი:

ერთს მაღაზიაში ისყიდება:

ა) კოცნა მოჭედილი ოქროთი და სადაფით.

ბ) ხუთი ტომარა მთვარის ნათელი.

გ) ოთხ-კუთხი საპნის ბუშტი.

დ) რწყილი, რომელსაც რომაელი ცხვირი აქვს.

ე) საათი, რომლის ისარი მე-XIII საათსაც აჩვენებს.

---

## გამოსადეგი ცნობა

—

მურაბისა და წნილის შენახვა. წნილს, მურაბას და სხვ. რომ ობი არ მოეკიდოს, საჭიროა უჭკველად მაგრად, ჰერმეტიულად იყოს დახურული. გარდა ამისა, მურაბას უნდა თხლად მოასხათ ზემოდგან თაფლი და წნილს გამდნარი ერბო ანუ კარგი ზეთი, რასაკვირველია, გარჩევით-კი, რომელ წნილს უფრო რა მოუხდება, ზეთი თუ ერბო. ასე შენახულს მურაბას და წნილს ობი არ მოეკიდება, და თუ ობ-მოკიდებულის წნილის გამოყენება გინდათ, უნდა გასინჯოთ, ცოტა აქვს ობი თუ ბევრი. თუ მეტის მეტად აქვს ობი მოკიდებული, მაშინ აღარ გამოდგება და თუ ნაკლებად, მაშინ უნდა გადასწმინდოთ ობი და ცოტაოდენი მმარი ან ლიმონის გამონაწური წვენი დაუმატოდ, რომ სრულიად მოსპოს ობის სუნი და გემო.

---

# დეპეშა

25 თებერვალი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითის უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვა წევრნი იმპერატორის გვარეულობისანი გერმანიის ელჩის, გენერალ ვერდერის ბალზედ დაესწრნენ.

**რომი.** დღეს პარლამენტის კრების დაბოლოვებისათანავე, „მონტე ჩიტორის“ მოედანზედ, პალატის წინ ყუმბარა აფეთქდა; აფეთქების ხმა ქალაქის რამდენსამე ალაგას გაიგონეს; პალატისა და იმას ახლო-მყოფის სახლების ფანჯრის მინები დამტვრეულია; რვა კაცია დაჭრილი, ამათგან სამი მძიმედ. იმ ადგილას, სადაც ყუმბარა აფეთქდა, მიწა ჩახვრეტილია.“ „Tribuna“ ამბობს, რომ ყუმბარის აფეთქებას კავშირი აქვს დღეს პალატაში დეპუტატის დაფელიჩეს სამართალში მიცემის შესახებ აღძრულ ლაპარაკთანაო.

24 თებერვალი

**პეტერბურგი** საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ხელსაქმე შემოიღოს ყველა სასწავლებელში,

27 თებერვალს

**ბერლინი.** პირველი მუხლი რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობისა მიიღო რეიხსტაგმა 200 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 146-სა. მეექვსე და მეშვიდე მუხლის განხილვა გადაიდო ორშაბათამდე. დანარჩენნი მუხლნნი 18-მდე უკვე შეწყნარებულია.

28 თებერვალი

**ბერლინი.** გუშინდელს კენჭისყრის დროს რუსეთ-გერმანიის ხელ-შეკრულობის შესახებ არ მიუღია მონაწილეობა: 51 დეპუტატს, უმეტესად ფრთხილთა. ხელ-შეკრულობის სასარგებლოდ კენჭი მისცეს: თავისუფალ-მოაზრეთ, პოლონელთ, ნაციონალ-ლიბერალთ, ცენტრის უმეტესობამ, 6 კონსერვატორმა და იმპერიის პარტიისგან 9 წევრმა.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

—

### I

ეს არის ახლა წავიკითხე გაზეთებში საყურადღებო და დიდად სასიამოვნო ამბავი შესახებ გენაგერჩაკის თესლის ყიდვა-გაყიდვისა. მეურნეობის ასეთ დაქვეითების დროს, როდესაც მხვნელ-მთესველს სამი შაური არ უჯდება დღეში თავის შრომის ფასად და თითქმის მყიდველიც აღარ არის მისის ნამუშევრისა, (აქეთ სიმინდზეა ჩვენი მუშა ხალხის ბედ იღბალი დამყარებული და დღეს ქქვს შაურად მყიდველი არ არის ფუთის სიმინდისა) ნუ თუ ასეთ გაჭირების დროს სასიამოვნო და სასიხარულო არ არის ეს ამბავი?! როგორც ბ-ნ თაიროვის სიტყვიდან სჩანს, ამ მცენარეს ნესტიანი და იბილი ადგილები უხდება; ამისთანა ადგილები გურიასა და სამეგრელოში უხვად არის და დარწმუნებულიცა ვარ, რომ კარგად იხეირებს ჩვენს მხარეში ეს მცენარე. ამას წინად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ეზოში სცადეს გენაგერჩაკის დათესვა, კარგადაც იხეირა, მაგრამ დღემდის ამ სასარგებლო საქმის მუშაობა თუ არ გავრცელდა ჩვენში, იმიტომ რომ გაყიდვის იმედი არ ჰქონდათ და თესლიც ძნელი საშოვარი იყო. ხოლო დღეს, როდესაც ბ-ნი თაიროვი თესლსაც თითქმის მუქთად იძლევა (ფუთს 15 კაპ.) და მოსავალშიაც კარგს ფასსაც ჰპირდება, ხელი რაღამ უნდა შეგვაშალოს. ამიტომ ვსთხოვ ბ-ნს თაიროვს „ივერიის“ საშუალებით კეთილ ინებოს და გამოგვიგზავნოს ჯერ ჯერობით ფასს დადებით ათი ფუთი ნატანების სადგურზე და ათიც ახალ-სენაკში რკინის გზით.

ხოლო წერილი, დარიგება, რუსულ-ქართული და რკინის გზის კვიტანცია ქვემო ხსენებულის ადრესით გამოგვიგზავნოს.

ვუცხადებ აგრეთვე გურიის და სამეგრელოს მკვიდრთ, რომელისაც ეძნელება ტფილისიდან ამ თესლის დაბარება, მოჰმართონ ჩემს წიგნის მაღაზიას ოზურგეთს და ახალ-სენაკში, სადაც ხსენებული თესლი დაეთმობათ, მხოლოდ გზის ხარჯის დამატებით იმ ფასად, რა ფასადაც ადგილობრივ ეღირება.

ადრესი წერილებისათვის: Озургеты, К. Таварткиладзе—და Ново-Сенаки, К. Таварткиладзе.

კ. თავართქილაძე

ოზურგეთი

1894 წ. 16 თებერვალი

—

### II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შუამავლობით გულითადი მადლობა გამოვუცხადოდ იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ლატარიის გამართვაში, რომელიც იყო დანიშნული მცხეთის საჯარო სამკითხველოს სასარგებლოდ; უმეტესის მადლობის ღირსნი არიან: გიორგი მრევლიშვილი ართვინში, ნიკო ბაქრაძე განჯაში, მარიამ სიდომონ-ერისთავისა დუშეთში, ინჟინერი ჯორჯაძე ბაქოში, მარიამ ჯავახიშვილისა ხოვლეში და აგრედვე მცხეთის საზოგადოება; ამასთანავე გიგზავნით ანგარიშს ლატარიისას, რათა ყველამ გაიგოს, რა შემოვიდა ფული და რა დაიხარჯა გამართვაზე: 694 ბილეთისა შემოვიდა 138 მან. 80 კ., ბუფეტიდგან—12 მან. 25 კ., გაიყიდა იმ ღამესვე რამდენიმე ნივთი, რომელიც ისევ ბიბლიოთეკას დაუბრუნეს და რომელთაც ხვდათ ეს ნივთები 6 მან. 30 კ. სრული შემოსავალი იყო 157 მან. 35 კ. დანახარჯი იყო: ბუფეტის გა-

---

რონოდ და უზინაოდ სტოვებს ან რომელიმე „მდიდართა პანსიონი“ ან დიდი მაღაზია!

საწყალი ქალი! აშკარად მქონდა წარმოდგენილი მისი ცხოვრება და მისი დაცემის მიზეზი. უყვარდა თავისი ქალი და დედა, და მათივე მსხვერპლი იყო. თავს დავუკრავდი ხოლმე და ყოველთვის ვადევნებდი თვალს ფანჯრიდამ, მინდოდა შემეტყო ყოველი მისი გულის პასუხი, ფიქრი, მწუხარება, სურვილი,—ყოველივე, რაც-კი მის დამშვიდებულს და დალონებულს გულსა და გონებაში მოძრაობდა. ვინ იყო მამა პატარისა? ჰხედავდნენ სადმე ერთმანეთს?

—

შევიტყე, რომ ჰნახავდნენ ხოლმე დრო და დრო ერთმანეთს. ერთხელ ქუჩაში შევხვდი, ხელი-ხელ გაყრილი მიდიოდნენ და ჩხუბობდნენ, უცებ კაცმა ხელი გაუშვა და უკან დაბრუნდა. ამ დროს პირის-პირ შევეფეთე. დაბალის ტანისა იყო, სქელი, უმგზავსი სახის, მუცელ-გაბღინძული.

—

შემდეგ უფრო მეტად დავაკვირდი ჩემის მეზობლის ცხოვრებას და ყოველ წვრილმან გარემოებასაც კი თვალს ვადევნებდი. ისე ვიყავ შეპყრობილი ცნობის მოყვარეობით ამ სავალალო ამბის გამო, რომ მოსამსახურე დედაკაცსაც-კი ვკითხავდი ყველაფერს. შევიტყე, რომ ჩემი მეზობელი ქალი და მისი საყვარელი კვირაში ორჯელ სამჯერ ჰხედავდნენ ერთმანეთს; არ გამოვიდა ხანი, რომ შედეგიც შევიტყე ამათის შეხვედრისა. თუ კაცი რიგიანის გულით შეხვდებოდა და ქალი კმაყოფილი იყო, მაშინ უფრო გვიან ბრუნდებოდა შინ და ჩქარის სიარულით დაღალული ძლივსღა სუნთქავდა, კუთხის დუქანშიაც უთუოდ ვარდის კონას იყიდდა ხოლმე. კონას გამხდარ გულზედ დაიმაგრებდა და მოხდენით გაუწვდიდა მედუქნეს ხელს ხურდისათვის, თან შეშფოთებულის სახით შეჰყურებდა თავიანთ აივანს. და თუ საყვარელი ცუდის გულით დახვდებოდა, მაშინ ნელის ნაბიჯით, წყნარად წამოვიდოდა სახლისკენ, უფრო ფერ-მკრთალი, ვიდრე ყოველთვის და სახლში შესვლა საპატიმროში შესვლად მიაჩნდა. პატარა ლიზას ალერსიანი ძახილიც-კი „გამარჯობა დედიდა“ აღარ ამხიარულებდა,—თავსაც-კი არ აიღებდა მაღლა და იყო დადუმებული მწუხარებით.

ვიკითხე, ლიზას მამამ რა მიზეზით არ დაიწერა ჯვარი ამ ქალზედა მეთქი.

— ცოლიანია და იმიტომაო, მითხრეს, თუმცა დატოვებული ჰყავს ცოლი რომელიც სულ ავადმყოფობსო.

გაიარა ორმა თვემ. ერთ საღამოს სახლის წინ ეტლი გაჩერდა და ეტლიდგან გადმოვიდა მაღალი დედაკაცი, არც თუ ლამაზი და არც უსახური, დიდრონის თვალებით, რომელიც გარეშემო ჩალურჯებული ჰქონდა; ეტყობოდა, მრავალი ცრემლი დაეღვარა ამ დედაკაცს. ხელში ბლომად სათამაშოები ეჭირა და გავიგონე, როცა მოსამსახურეს უთხრა:

— ეს სათამაშოები პატარა ლიზას მიეცით.

შემდეგ წყნარად გაბრუნდა, მაგრამ სახლს თვალს არ აშორებდა.

ერთს საათს უკან შევიტყე, რომ ეს ქალი ლიზას მამის ცოლი იყო.

ის ისევ დაბრუნდა, მეც წინანდებურად ფანჯრიდგან დაუწყე ცქერა და შევამჩნიე, რა რიგად გაუცხოვლდა ამ უშვილო ქალს სიყვარული ბავშვის თუმცა იგი იყო შვილი მის მეტოქე ქალისა და იმ კაცისა, რომელმაც ხელი ჰკრა მას, თავი დაანება და არ ინდომა. კვირაში ორჯელ-სამჯერ მოვიდოდა ხოლმე ქურდულად, მოსვლამდის-კი ხან სათამაშოებს გამოუგზავნიდა, ხან ხილს და სხვა-და-სხვა ტკბილეულობას. თუ ბავშვს გარედ ჰნახავდა მოსამსახურესთან, გიჟივით დაჰკოცნიდა და ულერსებდა, მისის აღტაცებულის ალერსის ხმა მეც-კი მესმოდა.

ცოტას ხანს შემდეგ ნება მისცეს პატარა ლიზას წაყვანისა თითო საათობით. თითქოს ართმევს ვინმეო, ისე მოიტაცებდა ბავშვს და გაარბენინებდა, მაგრამ, როცა დაბრუნდებოდა დანიშნულ დროზედ, დიდხანს ველარ შორდებოდა პატარა ლიზას. ხოლო როცა ლიზა თვალიდგან მოეფარებოდა, დიდხანს იდგა ტროტუარზედ და მისჩერებოდა იმათ აივანს, ელოდდა ლიზას გამოსვლას და იმის პატარა ხელით კოცნის ნიშნებას, მერე უცბად გაბრუნდებოდა წასასვლელად, რომ თვალებზედ ცრემლი არავის შეემჩნია.

ერთხელ ვკითხე ლიზას, ვინ არის ეგ ქალი-მეთქი?

— ჩემი მეორე დედაა! მიპასუხა ბავშვმა.

გავიდა ცოტაოდენი ხანი; ჩემი მეზობლები ამ სახლიდგან გავიდნენ და მეც ველარ შევიტყე ბოლო ამ რომანისა.

მართვა, ოთახს მოწყობა და წვრილმანი ხარჯი 24 მან. 15 კ. წმინდა შემოსავალი 133 მან. 20 კ.

გამგენი მცხეთის საჯარო სამკითხველოსი და ბიბლიოთეკისა სოფიო ციციშვილი და პროკოპი ბარისაშვილი

20 თებერვალს
მცხეთა

## შემოწირულობა

ბათუმის რკინის გზის მოხელენი (კონდუქტორები) გიგზავნით 5-ს მანეთს ჩვენის უკვდავის შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ; გთხოვთ გარდასცეთ ვისიც ჯერ არს და ამასთანავე გთხოვთ გამოაცხადოთ ჩვენი სახელი და გვარი.

აი შემომწირველნი:

იპოლიტე, გუჯაბიძე 1—მან. გერასიმე ჯაველიძე 1—მან. ანტონ ჩხაიძე 1—მან., ილარიონ ჯინჭარიძე 1—მან. და ნიკო ფორჩხიძე 1—მან.

## პეტერბურგის ბირჟა, 22 თებერ.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,52 | 7,54 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | 150¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 226½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 98¼ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101⅜ |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 98¼ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. ღამ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ჟ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

## საპონი

პროვიზორი

## ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდილოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—2)



ჩვედურს მაღაზიაში; მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი „თესლეულობა“ ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრეთვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის „ფქვილი და კრუპა“ დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა „პრიმუს“ რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ ყველთ უფასოდ. (10—6)



რადგან ჩქარა წასვლას აპირებს, მის ზენიდა ჰყიდის ორ თუთიყუშს, კაკადუს. ამ ორში—ერთი ლაპარაკობს, უსტვენს, მღერის და ღირს 150 მ., მეორე—50 მ. Европейские Номера, გოლოვინის პროსპექტი. ნახვა შეიძლება 12 საათიდამ საღამოს 5-მდე.

(1—1)



კრებული ტფილისის მთაწმინდის მ. დავითის ეკკლესიისა აცხადებს, რომ საეკკლესიო მამული, შეწირული ქვრივის ანდრეევსკის მიერ ხსენებულ ეკკლესიის სახელობაზედ

„საბურისი“

მდებარე კოჯორის ახლოს—დიდებასა და სამადლოს შუა, სივრცით 147 დესეტინა,

გაიცემა იჯარით.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ პირობების შესატყობად ხსენებულ ეკკლესიის მღვდელს, ან ამავე ეკკლესიის მნათეს კ. დ. თეთრაძეს 10 მარტამდინ. (2—1)



ნიგვზის



თმის სღებავი
პ. მენესი.
ქ. ვენაში.

უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს გაგზავნით 3 მანეთი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის
В. АУРИХЪ,
С,-Петербургъ,
Колокольная 18.

(8—2)



**50 руб.** и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

—

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.



კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—169)



## ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვის ქ. ტფილისში

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბატისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოჯანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, კარვასლთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაკაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა; გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** მიხაილოვის ქუჩაზედ, კარლოვის სახლში ვორონცოვის ძეგლთან, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუღდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნაღდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად.

(10—1)



## ნუ იყიდით



## ველოსიპედებს

მანამ ჩვენი კატალოგი 1894 წ. არ წაიკითხოთ. ჩვენი კატალოგი გამოაშკარავებს **სენსაციურ ახალ ამბავს** ამ წლის სეზონისთვის.

კატალოგი გაეგზავნებათ უფასოდ.

Торговый домъ **Ж. Блокъ**, **Москва**. С.-Петербургъ, Одесса, Варшава, Кокандъ, Ростовъ н/д, Екатеринбургъ.

(5—3)



მიიღება ხელის მოწერა

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . : . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „**Моамбе**“.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ღოღობერიძე



## გ. ა. რუზანოვი და ამხ.

პეტერბურგი, რაზიეზჟის ქუჩა, სახლი № 18

ახალი ამხანაგობა. პრივილეგია დამტკიცებულია № 15.627.

შედედებული სუნნელოვანი წვენი არაყისა და ლიკიორებისა,

შემზადებული მხოლოდ სხვა-და-სხვა ხილისაგან, მცენარისაგან და ძირეულობისაგან, განსხვავებულია თავისი სასიამოვნო სუნით და გემოთი. ამ სხვა და სხვა წვენის შემწეობით

ყველას შეუძლიან მოამზადოს მალიან გემრიელი ლიკიორი,

რომელიც არაფრით არ დაუვარდება საზღვარ გარეთის ძვირფასს ლიკიორებს

და ყველანაირი სიმრთელისათვის მარგებელი მწარე არაყები.

გ. რუზანოვის და ამხანაგობის შემზადებული წვენი არაფრით ემგზავსება სხვა ესენციებითა და საღებავით გაკეთებულს წვენს, რაშიაც ყველას შეუძლიან დარწმუნდეს.

პრეისკურანტი გაეგზავნებათ პირველს მოთხოვნილებისათანავე უფასოდ.

ფასი ერთი შუშისა ¹/₁ ან ½ ბუთილკისათვის 15 კ.—80 კ.

არაყის ქარხნებისათვის ეს წვენი უფრო დიდრონ ჭურჭლებშია შემზადებული.

(5—5)